

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

## ოქმი №10

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N65

10 ივლისი 2019 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარეალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერი ჭიჭინაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, პაატა ხურციძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხივიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ურისთავი.

(დანართი №1).

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი -კობა მაღლაკელიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-ლუიზა ჯოგლიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში -ლუბა გოგოძე.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ივანე მამფორია.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი-მამუკა ნამიჭეიშვილი;

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

## დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ “ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

მომხს./ივანე მამფორია/

2. „ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩა N63-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე მდებარე ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ძიგვაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.“

მომხს./გიორგი ივანიაძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ.“

მომხს./მამუკა ნამიჭეიშვილი/

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილის სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ივანე მამფორიამ, წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ “ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”. მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილების საჭიროება განაპირობა 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულებაში „სტიქის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ 2019 წლის 02 ივლისს N1509 განკარგულებით შეტანილმა ცვლილებამ, რის შედეგადაც ვანის მუნიციპალიტეტს ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ზედა ეწერტობანიერში ხევის მეწყრული კერის რეგულირების მიზნით გამოეყო 101,5 ათასი ლარი. შედეგად ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა იზრდება 101,5 ათასი ლარით.

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.  
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე -21

წინააღმდეგი-2. (კობა ძაგნის, გია ოჩხივიძე)

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დადგენილება . „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის  
დამტკიცების შესახებ ”ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125  
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

(დანართი: დადგენილება N18 )

**მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხთნ დაკავშირებით მომხსენებელმა, საკრებულოს  
თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ, წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ვანში  
თავისუფლების ქუჩა N63-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე მდებარე ვანის ცენტრალური  
ბიბლიოთეკისათვის პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ძიგვაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.“  
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებისგან შემოსულია  
ერთობლივი განცხადება. ისინი ითხოვენ მიენიჭოს ცენტრალურ ბიბლიოთეკას გიორგი ძიგვაშვილის  
სახელი. რადგან მხოლოდ მესამე სართულზე განთავსებულ ბიბლიოთეკას ენიჭება სახელი და არა  
მთლიანად შენობას, საკრებულოს აქვს პრეროგატივა ადგილზე გადაწყვიტოს ეს საკითხი.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.  
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება,,ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩა N63-ში მდებარე  
შენობის მესამე სართულზე მდებარე ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის პოეტისა და  
მთარგმნელის გიორგი ძიგვაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.“

(დანართი: განკარგულება N 27 29 )

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ.“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ 4 პროექტია შერჩეული 2020 წლისათვის ღირებულებით 7030000 ლარით და წარმოადგინა ეს პროექტები.

1.ვანის მუნიციპალიტეტის ქ.ვანში თავისუფლების ქ. N100 მდებარე სკვერის კეთილმოწყობა და მასზე განთავსებული შენობის კეთილმოწყობა.

2.ვანის მუნიციპალიტეტის შემოსასვლელების და ქ. ვანის ცენტრის კეთილმოწყობა -რეაბილიტაცია.

3. ვანის მუნიციპალიტეტის ქ.ვანში მშვიდობის ქ-ზე მდებარე გ.ყიფიანის სახელობის სკვერის რებილიტაცია.

4.ვანის მუნიციპალიტეტის მთისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ საავტომობილო გზასთან დაკავშირებული შიდა გზების რეაბილიტაცია.

- ა) ახობაძეების უბანი 200გრძ.მტ.
- ბ) გეფერიძეების უბანი 300გრძ.მტ
- გ)სვოლის უბანი 200გრძ.მტ.
- დ) გაენათის ეკლესიის მიმართულებით 300გრძ.მტ

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -20

წინააღმდეგი-3 (კობა ძაგნიძე, გია ოჩხივიძე, აპოლონ რამიშვილი)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;“

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდგომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე

